ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 134

« 28 » აპრილი 2017 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2014 წლის 20 თებერვლის №QN1189886 გადაწვეტილებით გათვალისწინებული ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის გამო დარიცხული პირგასამტეხლოსაგან შპს „დიენს DNS"-ის (ს/კ 405023040) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ვ" ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „შპს „დიენს DNS"-ის (ს/კ 405023040) მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2014 წლის 20 თებერვლის №QN1189886 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის გამო დარიცხული პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 12 აპრილის №13.42.264 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2014 წლის 20 თებერვლის №QN1189886 გადაწვეტილების დანართით განსაზღვრული საიჯარო პირობების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის გამო, ამავე დანართის 12.1 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოსაგან (ჯამში 4043 (ოთხი ათას ორმოცდასამი) ლარის ოდენობით) შპს „დიენს DNS"-ის (ს/კ 405023040) განთავისუფლებაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი